პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 30 აპრილი, 1943 წ. № 96 (6721). ფასი 20 კაპ.

საგაზაფხულო კულტურები ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მზარდი დახმარება გაუწიოს ჩვენს გმირ წითელ არმიას საძულველი მტრის—გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების დაჩქარების საქმეში. სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა და მტრისადმი სიძულვილმა საკოლმეურნეო სოფელში წარმოშვა მასობრივი შრომითი მამაცობა. საქართველოს კოლმეურნეები მხურვალედ გამოეხმაურნენ იაროსლავლელ კოლმეურნეთა მოწოდებას. ისინი გეგმის გადამეტებით სთესენ საგაზაფხულო კულტურებს, ასუქებენ საქონელს თავდაცვის ფონდისათვის და ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დასახმარებლად. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონები გეგმის ზევით სთესენ 280 ჰექტარ ფართობს, რომლის მოსავალი გადაეცემა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების ფონდს. ამ მიზნით რამდენიმე ათეულ ჰექტარს სთესენ ზუგდიდისა და ბორჩალოს რაიონების კოლმეურნეობები.

საგაზაფხულო თესვა წელს საქართველოში შარშანდელთან შედარებით გაცილებით უფრო ორგანიზებულად, უფრო სწრაფად მიმდინარეობს. 25 აპრილისათვის დათესილი იყო 136.000 ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე რიცხვისათვის. იქ, სადაც რაიონული პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეწარმოთმქმედო ორგანოები თავიდანვე სერიოზულად ჩაუდგნენ სათავეში მინდვრის სამუშაოებს, სადაც მთლიანად გამოიყენეს კოლმეურნეობათა ყველა შინაგარეზერვები, საგაზაფხულო თესვაში კარგ წარმატებებს მიაღწიეს. მახარაძის რაიონმა ერთიანი კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმა დაწესებულ ვადაზე 7 დღით ადრე, 28 აპრილისათვის შეასრულა. წყალტუბოს რაიონმა ვადაზე ადრე შეასრულა მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების თესვის გეგმა, ხოლო წალენჯიხის რაიონმა—მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესვა გაჭიანურდა უმთავრესად იმის გამო, რომ არ არის მოხნული ფართობები. ხვნის სამუშაოებზე აქ ძალიან სუსტად იყენებენ მცირეპროდუქტიულ ძროხებს და უშობელებს. ომიანობის ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის სასურსათო რესურსების გადიდებას. საგაზაფხულო კულტურების თესვაში სერიოზული ადგილი უჭირავს კარტოფილს. ბევრგან კარტოფილის თესვის გეგმა უკვე შეასრულეს. ასეთები არიან: ქარელის, ყვარლის, ლაგოდეხის და სხვ. რაიონები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახალქალაქის, კასპის, მცხეთის, გორის, თბილისის, საგარეჯოს რაიონების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობები კარტოფილს ნელი ტემპებით სთესენ. მიუხედავად იმისა, რომ შაქრის ჭარხლის თესვის დაწესებული ვადა უკვე ამოიწურა, ბორჩალოს და ბოლნისის რაიონების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს თესვა ჯერაც არ დაუმთავრებიათ.

ზემოთ დასახელებული რაიონებისათვის ორმაგად ძვირფასია თითოეული დღე. პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა ორგანოებმა და მტს-ების პოლიტგანყოფილებებმა უნდა დარაზმონ მთელი ძალები თესვის ტემპების გადაჭრით გასაძლიერებლად და ენერგიული ზომები მიიღონ თესვის სწრაფად, მაღალი ხარისხით დასამთავრებლად. ჩამორჩენილი რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეწარმოთმქმედო ორგანოებმა ღრმად უნდა შეიგნონ, რომ თესვაში შემდგომი დაგვიანება დანაშაულია ფრონტისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე.

საკოლმეურნეო სოფელში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის. საჭიროა კიდევ უფრო ფართო გაქანება მივცეთ მას. შეჯიბრებაში უნდა ჩაებან რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ები, ბრიგადები და რგოლები, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკები.

14 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც XVI პარტიულმა კონფერენციამ საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელთ მიმართა მოწოდებით სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. 29 აპრილი—ეს სოციალისტური შეჯიბრების სახელოვანი წლისთავის დღეა. ამ 14 წლის მახვილზე სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაშალა ჩვენი სამშობლოს ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, იგი გადაიქცა სახალხო მეურნეობის დარგში ჩვენი გამარჯვებების მძლავრ წყაროდ. სამამულო ომის ვითარებაში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ფართო გაქანება ჰპოვა სოცშეჯიბრებამ საქართველოს საკოლმეურნეო სოფელშიც. ქობულეთისა და ლაგოდეხის რაიონების მოწინავეთა მიმართვას მხურვალედ გამოეხმაურენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები, რომლებიც დაუღალავად მუშაობენ სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლით, კოლმეურნეობათა ყველა რეზერვის მაქსიმალურად გამოყენებით, ძალთა სწორი განაწილებით უნდა მივაღწიოთ საგაზაფხულო თესვაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ მთელი ძალები 1943 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის. საამისოდ ყველა პირობა არსებობს. სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე სერიოზული ამოცანები დგას. ეს ამოცანები მოცემულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში 1943 წლის 1 მაისისათვის: „კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკნო და მუშა ქალებო! კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეწარმოთმქმედო ორგანოების აგრონომებო! ორგანიზებულად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა! მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის მაღალ მოსავლიანობას! მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი სურსათი, ნედლეული მრეწველობისათვის!“.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ საბრძოლო მოწოდების პასუხად ყველაფერი გავაკეთოთ საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის. განუხრელად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის დადგენილება 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ. სწრაფად და მაღალხარისხოვნად, ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებათა მტკიცედ დაცვით დავამთავროთ საგაზაფხულო თესვა და შეუპოვარი შრომით დავეხმაროთ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრულ განადგურებაში. საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები ფრონტის დასახმარებლად!

მოსკოვი

ს. მ. ბუდიონის სახელობის წითელი არმიის ოფიცერთა წითელდროშოვანი უმაღლესი საკავალერიო სკოლის უფროსს

ვულოცავ ს. მ. ბუდიონის სახელობის წითელი არმიის ოფიცერთა წითელდროშოვანი უმაღლესი საკავალერიო სკოლის მეთაურთა, უფროსთა, წითელარმიელთა და ნებითდაქირავებულთა შემადგენლობას 25 წლისთავს, მთავრობის მაღალ ჯილდოებს და ვუსურვებ წარმატებას წითელი ცხენოსანი ჯარის მეთაურთა კადრების მომზადების საქმეში.

თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი

ი. სტალინი

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

ს. მ. ბუდიონის სახელობის წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელი საკავალერიო კურსების შესახებ

თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებით ს. მ. ბუდიონის სახელობის წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელ საკავალერიო კურსებს ეწოდა ს. მ. ბუდიონის სახელობის წითელი არმიის ოფიცერთა საკავალერიო წითელდროშოვანი უმაღლესი სკოლა.

ქრონიკა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ამხ. **ვასილ დიმიტრის-ძე საყვარელიძე** დანიშნულია საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მოადგილედ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 აპრილის დილის ცნობა

28 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა მზვერავმა რაზმმა შეაღწია მოწინააღმდეგის ზურგში და იერიში მიიტანა ჰიტლერელთა კოლონაზე, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიემართებოდა. საბჭოთა მებრძოლებმა გაჟლიტეს 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და წამოიყვანეს ტყვეები.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით საარტილერიო სროლა იყო მტერთან. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია 4 ძელმიწური, ჩახშობილია 1 საარტილერიო და 2 სანალმტყორცნო ბატარეის ცეცხლი, გაფანტული და ნაწილობრივ გაჟლეტილია გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით 5 ნაწილის მზვერავები მოწინააღმდეგის ზურგში შეიჭრნენ და გაჟლიტეს 50 გერმანელი ჯარისკაცი და 2 ოფიცერი.

ჩვენი ბომბდამშენები ღამით თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის აეროდრომს. დაბომბვის შედეგად აეროდრომზე ხანძრის 6 კერა გაჩნდა.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე გერმანიის ქვეითმა ჯარმა კვამლის ფარდა შეჰქმნა და ცდილობდა ჩვენი თავდაცვა დაეზვერა. ჰიტლერელები გაფანტულ იქნენ სანალმტყორცნო და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით და უკუიქცნენ, ამასთან 40 გვამი დასტოვეს ჩვენი პოზიციების წინ. 6 ნაწილის სნაიპერებმა დღისა და ღამის განმავლობაში 70-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს.

* * *

კოვეის ოლქის ერთ-ერთ რაიონში ჰიტლერელებმა სცადეს გარს შემოერტყმოდნენ და მოესპოთ პარტიზანთა ჯგუფი, რომელიც თავის ბაზაში ბრუნდებოდა. პარტიზანმა ანდრიამ წინ წაიწია და ხელის ტყვიამფრქვევით 30-ზე მეტი გერმანელი მოსპო. ჰიტლერელთა შორის მომხდარი არეულ-დარეცვით ისარგებლეს პარტიზანებმა და გარემოცვის რკალი გაარღვიეს. ჩერნიგოვის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ააფეთქა გერმანელთა ეშელონი. დაიმსხვრა ორთქლმავალი და დაიწვა 58 ცისტერნი ბენზინიანად. ვოლინის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა 22-დან 24 აპრილამდე ლიანდაგიდან გადააგდეს მოწინააღმდეგის 3 სამხედრო ეშელონი. მოსპობილია 35 ვაგონი და 17 პლატფორმა. დახოცილია მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მინსკის გარნიზონის გერმანელ ჯარისკაცთა შორის მღელვარება მოხდა. ერთმა პოლკმა უარი სთქვა ფრონტზე წასულიყო. მას შეუერთდა მეზობელ ყაზარმებში მყოფი საჯარიმო ბატალიონიც. ამ ნაწილების ბევრი ჯარისკაცი გაიქცა-გამოიქცა, სანამ „სს“-ელები ყაზარმებს ალყას შემოარტყამდნენ. გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებამ მასობრივი დაპატიმრება მოახდინეს.

* * *

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ფრანგი პატრიოტების ბრძოლას უფრო და უფრო დიდი გაქანება ეძლევა. მერვილის ახლოს ფრანგმა რკინიგზელებმა მოაწყეს გერმანელი ოკუპანტების ორი სამხედრო მატარებლის დაჯახება. ბეტიუნ-ლილის უბანზე ლიანდაგიდან გადააგდეს ერთი ეშელონი კოჭსიანად. დაიმსხვრა 50 ვაგონი. ამ უბანზე მიმოსვლა შესწყდა სამი დღე-ღამით. სენერის დეპარტამენტში მარტო ორი კვირის განმავლობაში პატრიოტებმა 3.000 ტონაზე მეტი სამხედრო ტვირთი მოსპეს. მარსელში ახალგაზრდა ფრანგები თავს დაესხნენ გერმანელ საზღვაო ოფიცერთა ჯგუფს. გაიმართა შეტაკება, რომლის დროსაც დახოცილ იქნა 6 ჰიტლერელი. პარიზში, სენ-მიშელის ბულვარში, თავისუფალმა მსროლელებმა რამდენიმე გრანატი ესროლეს გერმანელთა ყაზარმას.

29 აპრილის საღამოს ცნობა

29 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

28 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 20 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დაამტვრიეს მოწინააღმდეგის რკინიგზის ეშელონი და ჩაახშეს 5 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები არტილერიისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით სპობდნენ მოწინააღმდეგის ტექნიკასა და ცოცხალ ძალას. დღის განმავლობაში გაჟლეტილია სულ ცოტა 200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სნაიპერებმა ამხ. ნაზაროვმა და მაკარეევიჩმა მოსპეს 10 ჰიტლერელი, სნაიპერებმა ამხ. შეეინსკიმ და შეტაკოვმა მოჰკლეს 6 გერმანელი. მზვერავთა ჯგუფმა სერჟანტ ამხ. გლაზირინის მეთაურობით მტრის განლაგებაში შეაღწია. მზვერავებმა მტრის ძელმიწური საცეცხლე წერტილს გარნიზონი გაჟლეტეს, ხელთ იგდეს ტყვიამფრქვევი, მოკლულ გერმანელ ჯარისკაცთა პირადი იარაღი და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ჩუგუევის ჩრდილოეთით ნ ნაწილის მოწინავე ქვეგანყოფებმა ყველა სახის იარაღის ცეცხლით ჩაშალეს გერმანელთა ქვეითი ჯარის ცდა—გადმოელახა წყლის ზღუდე. მტერმა ათობით მოკლული დასტოვა ბრძოლის ველზე. წითელარმიელმა ამხ. ნევეგელმა ტანკსაწინააღმდეგო თოფით მოწინააღმდეგის თვითმფრინავი ჩამოაგდო.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჰიტლერელებმა არაერთხელ სცადეს დაეკავებინათ დიდი მნიშვნელობის მაღლობი. ნ ქვეგანყოფის მებრძოლებმა ნალმსატყორცნისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა იერიში. დღის დამლევისათვის ჩვენმა მებრძოლებმა კონტრიერიში მიიტანეს გერმანელებზე და მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს პოზიციები. მტერმა მრავალი მოკლული დასტოვა ბრძოლის ველზე.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია 3 საარტილერიო ბატარია, 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, დანგრეულია 4 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და გადასასვლელზე ჩაძირულია 4 ნავი გერმანელ ჯარისკაცებიანად.

* * *

კამენეც-პოდოლსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა რკინიგზები დანაღმა. 8 აპრილს, გთინენებისას, გერმანელთა ეშელონი ნაღმებს წააწყდა. მარცხის შედეგად მოსპობილ იქნა 15 ვაგონი საომარ მასალიანად. 7 პლატფორმა ავტომანქანებიანად და 8 პლატფორმა ტანკებიანად ფერდობზე გადაიჩეხა. ავტომანქანები და ტანკები პარტიზანებმა დაწვეს. მარცხის ადგილას ჰიტლერელებმა ჯარის რამდენიმე ქვეგანყოფი გაგზავნეს. საბჭოთა პატრიოტებმა 60 გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი მოჰკლეს თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით. ამ დღეებში პარტიზანთა ამავე რაზმმა მოწინააღმდეგის ნავთის ბაზა მოსპო. დაიწვა 50 ტონაზე მეტი საწვავი.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანის 38-ე ქვეითი დივიზიის პოლონელმა ჯარისკაცმა იან პლოტკამ განაცხადა: „ჩვენი დივიზია აპრილის პირველ ნახევარში ჩამოვიდა ფრონტზე ქალ. ნანტიდან (საფრანგეთი). დივიზიაში ბევრი პოლონელია პომორიედან, ხემი სილეზიიდან და პოზნანის სავოევოდოდან. ომამდე პოლონეთში ვცხოვრობდი კარტუზის მაზრაში და მამაჩემის მეურნეობაში ვმუშაობდი. როცა ჰიტლერელებმა პოლონეთი დაიპყრეს, ჩვენთან გერმანელი მემამულე გენერი ჩამოვიდა. მან ხელში ჩაიგდო მთელი ჩვენი მეურნეობა და მიწა, მე და მამაჩემი კი თავის მოჯამაგირეებად გადაგვაქცია. ასეთივე ბედი ეწია ბევრს ჩვენს სოფელს. არმაში რომ მაცილებდნენ, მშობლებმა მითხრეს: „თუ ფრონტზე მოხვდე, მაშინვე რუსებთან გადადიო“. მეც ასე მოვიქეცი. მარჯვე დრო შევარჩიე, ბოლესლავ პილატთან ერთად გამოვცურე დონეცი და ტყვედ დაგნებდით“.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა იტალიელთა რაზმი გაანადგურეს ქალ. ფოჩის რაიონში და მოწინააღმდეგის 80 ჯარისკაცი მოჰკლეს. ჩადეეის რაიონში პარტიზანებმა ოკუპანტთა რიცხვობრივად ჭარბი ძალების იერიში მოგერიეს და 100-ზე მეტი იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოჰკლეს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ს. მ. ბუდიონის სახელობის წითელი არმიის ოფიცერთა წითელდროშოვანი უმაღლესი საკავალერიო სკოლის დაჯილდოების შესახებ

ს. მ. ბუდიონის სახელობის წითელი არმიის ოფიცერთა წითელდროშოვანი უმაღლესი საკავალერიო სკოლის 25 წლისთავის აღსანიშნავად, კავალერიის მეთაურთა შემადგენლობის მომზადებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის და სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას **ს. მ. ბუდიონის სახელობის წითელი არმიის ოფიცერთა წითელდროშოვანი უმაღლესი საკავალერიო სკოლა წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 29 აპრილი.

ორდენების გადაცემა საბჭოთა კავშირის მარშალ ს. მ. ბუდიონის, გენერალ-პოლკოვნიკ მ. ს. ხოზინისა და სოციალისტური შრომის გმირ ჟ. ი. კოტინისათვის

29 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა კრემლში გადასცა ლენინის ორდენი საბჭოთა კავშირის მარშალ ს. მ. ბუდიონის, რომელიც დაბადების 60 წლისთავზე დაჯილდოებულია საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო სამხედრო დამსახურებისათვის.

სუეზოვის პირველი ხარისხის ორდენი გადაეცა გენერალ-პოლკოვნიკ მ. ს. ხოზინს, რომელიც დაჯილდოებულია საბრძოლო ოპერაციების მართვა და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის.

სოციალისტური შრომის გმირის, სატანკო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეს ჟ. ი. კოტინს გადაეცა წითელი ვარსკვლავის ორდენი—ტანკების, სატანკო დიზელებისა და ჯავშანკორპუსების დამზადების გადიდების ხაზით მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის. (საკდესი).

ჩვენი თვითმფრინავების თავდასხმა ქ. კენიგსბერგზე

28 აპრილის ღამეს ჩვენი თვითმფრინავების დიდი ჯგუფი რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში თავს დაესხა ქ. კენიგსბერგს. კენიგსბერგის სამხედრო და სამრეწველო ობიექტებზე ჩამოყრილ იქნა ფუგასური და ცეცხლგამჩენი ბომბები. ჩვენმა მფრინავებმა შენიშნეს ბევრი ძლიერი აფეთქება და ხანძარი, რომელთა ალი 100 კილომეტრამდე მანძილზე სჩანდა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი, გარდა ერთისა, თავის ბაზაში დაბრუნდა.

საჰაერო ბრძოლები კრასნოდარის დასავლეთით

28 და 29 აპრილს გერმანიის ავიაცია ცდილობდა მასირებულად დასხმოდა თავს ჩვენს ჯარებსა და სამხედრო ობიექტებს კრასნოდარის დასავლეთით. ჩვენმა საჰაერო ძალებმა არა მარტო მოიგერიეს მტრის ეს თავდასხმები, არამედ თავიანთი მხრივ წარმატებით დაბომბეს კიდევაც მოწინააღმდეგის ჯარები და სამხედრო ობიექტები. ჩვენმა ავიაციამ ხელთ იგდო ინიციატივა და ჰაერში ბატონობა და სერიოზული ზარალი მიაყენა გერმანელებს. ორი დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 116 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 45 თვითმფრინავი დავკარგეთ.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ვილჰელმსჰაფენს

ლონდონი, 29 აპრილი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 28 აპრილს ღამით ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა დიდ სივრცეზე დაწაფეს მტრის წყლები. ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ვილჰელმსჰაფენს. 23 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ანგიგერმანელი განწყობილებათა ზრდა სლოვაკიაში

სტამბოლი, 28 აპრილი (საკდესი). გესტაპო ბრატისლავაში იმ პირების საყურადღებოა ჩხრეკასა და მასობრივ დაპატიმრებას ეწევა, რომლებზეც ეჭვი შეეპარა, ანტიგერმანული განწყობილებისანი არიანო.

ამას წინათ სლოვაკიის ფაშისტური პარტიის წევრთა ერთ-ერთ თათბირზე მარიონეტული „პრეზიდენტი“ ტისო იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „სლოვაკიის ზურგი ფრონტად გადაიქცა“.

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოხარული ვართ გაცნობოთ შედეგები იმ ვალდებულებათა შესრულებისა, რომლებიც იკისრა ჩვენი ქვეყნის წინაშე ი. ბ. სტალინის სახელობის ორგზის ორდენოსანი № 92 ქარხნის კოლექტივმა წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აღგზნებულმა სურვილით—რაც შეიძლება მალე გავანადგუროთ საძულველი მტერი, მოვსპოთ ფაშიზმი და გავათავისუფლოთ ჩვენი სამშობლო საზიზღარი დამპყრობლებისაგან, ქარხნის კოლექტივმა პირველი კვარტალის პროგრამა შეასრულა ვადამდე, ხოლო აპრილის პროგრამა — 1943 წლის 24 აპრილს.

ათვისებულია და სერიული წარმოებით მზადდება სამი ახალი სახის მრისხანე საჭურველი, რომელიც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი რაოდენობით არის გამოშვებული. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია სადივიზიონო ზარბაზნები 13-ზე მეტი პოლკისათვის და იარაღი 4-ზე მეტი სატანკო ბრიგადისათვის იმ სახსრებით, რაც შეგროვებულია ქარხნის მუშაკთა პირადი დანაზოგიდან.

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დეტალების დამზადების დაკვეთა შესრულებულია 100 პროცენტით და ელექტროსადგურთა სამარაგო ნაწილების დამზადების დაკვეთა — 164 პროცენტით.

ქარხანამ 3.000 ფუთი ბოსტნეული და თესლი გაუგზავნა გერმანელი ოკუპანტებისაგან დაზარალებულ რაიონებს.

პროდუქციის გამოშვების შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად ამუშავებულია საგლინავი საამქრო, რომელიც აგებულია ქარხნის ძალებით შვიდი თვის განმავლობაში. ამან საშუალება მოგვცა უკვე პირველ კვარტალში მიგვეღო საკუთარი წყაროებიდან ქარხნისათვის საჭირო ნაგლინის 50 პროცენტი ისე, რომ სხვა ქარხნების დახმარებისათვის არ მიგვემართნა.

დამთავრებულია მშენებლობა მარტენის ახალი მძლავრი ღუმელისა, რომლიდანაც მიღებულია საკვამლო ფოლადის პირველი გამოსადნობი.

1943 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში დაზოგილია 1.100 ტონა მეავა ფოლადი. ტექნოლოგიის რაციონალიზაციის გზით ფასონური სხმულისა და ნაჭედისაგან დამატებით დაზოგილია 1.600 ტონა ფოლადი.

ამასთან ერთად 1943 წლის პირველ კვარტალში ქარხანამ დაზოგა 2 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 3,5 ათასი ტონა სათბობი და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიიღო 3.400.000 მანეთი ეკონომია.

ქარხნის კოლექტივი, პირნათლად ასრულებს რა ნაკისრ ვალდებულებებს, 9 თვის განმავლობაში იღებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წითელ დროშას და შემდეგშიც მზად არის შეასრულოს პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება.

1 მაისს ქარხნის კოლექტივი ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოს მომართავს მოწოდებით—განაგრძონ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის პირველი ნახევრის დავალებათა საუკეთესოდ და ვადამდე შესრულებისათვის.

ქარხნის კოლექტივი შემდეგ ვალდებულებებს კისრულობს:

1. ვადამდე შეასრულოს ნახევარი წლის პროგრამა.

2. 1943 წლის მაისის და ივნისის განმავლობაში მთავარი სარდლობის განსაკუთრებულ ფონდში გეგმის გადამეტებით გადასცეს სადივიზიონო ზარბაზნები 13 პოლკისათვის და იარაღი 4 სატანკო ბრიგადისათვის.

3. დაზოგოს სულ ცოტა 3.000 ტონა ფოლადი და აითვისოს მაღალხარისხოვანი ფოლადის საერთო წარმოება მარტენის ძირითად ღუმელებში.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს და მის გმირ წითელ არმიას!

დიდება დიდ მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის მარშალს — ამხანაგ **სტალინს!**

მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივის დავალებით:
ქარხნის დირექტორი ელიანი.
საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ლინევი.
ქარხნის მთავარი ინჟინერი ოლევსკი.
ქარხნის დირექტორის მოადგილე მეტალურგიის დარგში სტრუსელბა.
ქარხკომის თავმჯდომარე ბელოკრილოვი.
საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი გუსევი.
საამქროთა უფროსები: პერმიკინი, ფილშტეინი, სეროვი, აბრამოვი, გორდეევი, სიროტინი.
ქარხნის სტახანოველები: ბუხარევი, ჩერნოდუბი, ზახაროვი, ცაკლინი.

პირველ მაისს ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან

თბილისის მაუდლების წარმატება

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი ახალი საწარმოო გამარჯვებით ეგებება მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს—1 მაისს. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების აპრილის დავალება ფაბრიკამ 22 აპრილს შეასრულა და მას შემდეგ ფაბრიკის კოლექტივი გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოშვებაზე მუშაობს.

შალის ქოვილების გამოშვების, აპრილს საწარმოო გეგმა (მატრაფის მიხედვით) ფაბრიკამ შეასრულა 29 აპრილისათვის 104,8 პროცენტით, ხოლო ბამბის ქოვილთა გამოშვების გეგმა შესრულებული იყო 26 აპრილისათვის 165 პროცენტით.

ფაბრიკამ საგრძნობლად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხიც. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 პროცენტისა, აპრილში პირველი ხარისხის ქსოვილები გამოშვებულ იქნა 94,4 პროცენტის რაოდენობით.

საამქროს შორის, აპრილის საწარმოო გეგმის შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს და დაწინაურდნენ სამღებრო-საარტუტარო (საამქროს უფროსი ამხ. ვ. ჭანიშვილი) და კამვოლური (საამქროს უფროსი ამხ. ნ. ნოვიკი) საამქროები.

ნაკისრი ვალდებულებანი გაანადგდეს

ამ ქარხნის კოლექტივმა რომლის დირექტორიც არის ამხ. ბიჩენკო, წარმატებით გაანადგა წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ქარხანას საერთო პროდუქციის გამოშვების მარტისა და აპრილის გეგმა უნდა შეესრულებინა 110 პროცენტით, ფაქტიურად ეს ვალდებულება გაანადგდა ვადაზე 3 დღით ადრე, გეგმა 118 პროცენტით შეასრულა.

აღებული ვალდებულებით 1 მაისისათვის თავდაცვითი მნიშვნელობის პროდუქციის გამოშვების 4 თვის გეგმა უნდა შეესრულებინათ 120 პროცენტით, ფაქტიურად შეასრულეს 155 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივმა მარტსა და აპრილში აითვისა ახალი სახის სპეციალურ-დანადგარი. ამავე პერიოდში ათვისებულია კვების მრეწველობის ახალი სახის მოწყობილობა, რომელსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

წინასამაისო სოცშეჯიბრების შესრულების შემოწმებით ქარხანაში პირველ ადგილზე გამოვიდა № 3 საამქრო (უფროსი ამხ. ჩილინგაროვი), მეორე ადგილზეა № 2 საამქრო, სადაც უფროსად არის ამხ. მაჩაბელი.

ინდივიდუალურ სოცშეჯიბრებაში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს სტახანოველებმა: გ. არამიანმა, ი. ოტიაშვილმა, ნ. პოლიანსკიმ, ვ. კირილინმა და სხვ.

აპრილის გეგმა ვადამდე 130.5 პროცენტით შეასრულეს

საქ. სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის რძის ქარხნის კოლ

ᲓᲔᲙᲐᲛᲔᲠᲝᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ
28 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

27 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მოხდარა.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 10 ძელშიწური და ბლინდაჟი, ჩახშობილია 3 სანაღმტყორცნო და 2 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი. საბჭოთა მზვერავების ჯგუფი თავს დაესხა ძოწინაღმდეგეს საბრძოლო დაკვალს. მზვერავებმა 18 გერმანელი ჯარისკაცი მოჰკლეს და ხელთ იგდეს ტყვეები.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილებმა საარტილერიო-სანაღმტყორცნო ცეცხლით დაანგრიეს რამდენიმე ძელშიწური და ბლინდაჟი, გაჩფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს გერმანელთა ერთი ასეულამდე ქვეითი ჯარი. საბჭოთა ჰფრინავები თავს დაესხნენ რკინიგზის სადგურს და მოსპეს მოწინაღმდეგის ავტომანქანების ეშელონი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე კანტიკუნტი საარტილერიო სროლა იყო და მზვერავები მოქმედებდნენ. ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. მეტყვიამფრქვევე ამბ. გუშუეევმა სროლა აუტეხა მტრის ქვეითი ჯარის კოლონას და 15 ჰიტლერელი მოჰკლა. იმავე დღეს ამბ. გუშუეევმა მოსაბო მოწინაღმდეგის ტყვიამფრქვევი მისი გუნდიანად.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენმა არტილერისტებმა 3 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი ჩაახშეს და გერმანელთა ქვეითი ჯარის რამდენიმე ჯგუფი გაჩფანტეს. ჩასაფრებულმა სნაიპერმა უფროსმა ლეიტენანტმა ტრუბაჩოვმა ერთი დღის განმავლობაში მოსპო 24 გერმანელი ჯარისკაცი, რომელნიც მდინარეზე გადასასვლელის მშენებლობაზე მუშაობდნენ.

* * *

როვნოს ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი გარს შემოერტყა გერმანელთა გარნიზონს ერთ რაიონულ ცენტრში. ჰიტლერელებმა გარშემორტყმული გარნიზონის დასახმარებლად მაშველი ჯარი გაჰგზავნეს უახლოესი ქალაქიდან პარტიზანება გზასთან ჩასაფრდნენ, მოულოდნელად დაესხნენ თავს და გაჩფანტეს გერმანელთა რაზმი, რომელიც მათ უახლოვდებოდა. ამ რაზმს რომ გაუსწორდნენ საბჭოთა პატრიოტებმა მტრის გარნიზონის 60 ჰიტლერელი მოჰკლეს. პარტიზანებმა ხელთ იგდეს გერმანელი ოკუპანტების იარაღი და საომარი მასალა.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანიის 304-ე ქვეითი-დივიზიის 573-ე პოლკის მე-8 ასეულის ფელდფებელმა ოტო რიტლაინმა განაცხადა: „მე ამას წინათ დავბრუნდი ჰოსპიტლიდან, სადაც სამი თვე ვიწექი, ობერ-ფელდფებელმა მათეომ მაცინობა, რომ 574-ე პოლკი, რომელშიც მე წინათ ვმსახურობდი, ზთლიანად განადგურებულია 1942 წლის დეკემბერს, როცა ჩვენ საფრანგეთიდან წამოვედით, „ღიზეზია საესებით დაკომპლექტებული იყო ოფიცრებით, ახლა კი ზოგიერთ ასეულში უკვე არც ერთი ლეიტენანტი აღარ არის, მეორე ბატალიონში სულ 3 ოფიცერიღა დარჩა. ჰოსპიტალში ყოფნისას ვხედავდი, რომ დნეპროპეტროვსკით ყოველდღე მიდიოდნენ დაჭრილთა ეშელონები. იყო დღეები, რომ 20-მდე ეშელონს ვითვლიდით. თითოეულ ეშელონში დაახლოებით 1.000-მდე დაჭრილი იყო".

* * *

როსტოვის ოლქის სოფელ სინიავკაში ოკუპაციის განმავლობაში გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა 17 მშვიდობიანი მცხოვრები მოჰკლეს. ჰიტლერელებმა დახვრიტეს კოლმეურნეები ე. საველიევკო, ა. შჩუკოვი, ხ. გოლოსკოვი, ი. გუსეროკო, მუშა დ. პლოტნიკოვი, ფეოდოსეზე ქალი პარფენტიევა და სხვანი. გესტაპოელებმა მიერ დაპატიმრებული რამდენიმე ქალიშვილის ბედ-იღბალი აქამდე გამოიკვლეულია. სოფელ როგოჟკინოში გერმანელებმა მცხოვრებთა ჯგუფი დახვრიტეს, რომლებიც მათ მძევლებად ჰყავდათ წაყვანილი. სოფლიდან უკან დახევისას ჰიტლერელებმა დასწვეს თვეზის მომშენებელი ქარხანა და სხვა სახლები, რომლებიც თვეზმეჭრი არტელის კოლმეურნეებს ეკუთვნოდათ.

* * *

ბელგიელი პატრიოტები, ფრანგების მაგალითისაებრ, თავისუფალ მსროლელთა რაზმებს ჰქმნიან გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამას წინათ ბელგიელი ოფიციუფალი მსროლელნი შეიპარნენ რკინიგზის სადგურ ანსში ლიეჟის მახლობლად. გერმანელთა მცველი რაზმი გაჟლიტეს და ორთქმლავლის დეპო აიფეთქეს. იფეთქებამ მოსპო 15 ორთქმლავალი და სატრანსფორმატორო სადგური. პირველეზზე პატრიოტებმა მეწყობრიდან გამოიყვანეს რძის ქარხანა, რომელიც გერმანელებისათვის მუშაობდა. ჰალის რაიონში ბელგიელთა ჯგუფმა მოსპო გერმანელთა თვითმფრინავი, რომელიც იძულებით დაშვებულიყო.

28 ᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

28 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მოხდარა.

* * *

27 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 40-მდე ავტომანქანა ჯარებისანად და ტვირთიანად, ააფეთქეს საომარი მასალის საწყობი, ჩაახშეს მტრის 4 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

* * *

ყუბანში ჩვენი ჯარები საარტილერიო სროლას და მტრის დაზვერვას ეწეოდნენ. სატანკო ქვედანაყოფმა ამხანაგ კავიცკის მეთაურობით უკანასკნელ ბრძოლებში მოსპო გერმანელთა 11 ქვემეხი, 18 ნაღმსატყორცნი, 17 ტყვიამფრქვევი და დაიჭირა მტრის 4 ტანკი.

დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 15 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მტრის 8 თვითმფრინავი მოსპობილია ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

* * *

ქალაქ ბელის სამხრეთით ჩვენმა ნაწილებმა თოფ-ტყვიამფრქვევისა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო ცეცხლით დაანგრიეს გერმანელთა 9 ძელშიწური საცეცხლე წერტი და 4 ბლინდაჟი, ჰოსპეს საარტილერო ბატარეა და გასწყვიტეს ერთ ასეულზე მეტი ჰიტლერელი. ერთ უბანზე გერმანელი მეავტომატეები ცდილობდნენ ბრძოლით დაზვერვა მოეხდინათ. ჩვენმა მოწინავე ქვედანაყოფებმა ტყვიამფრქვევის სროლა ასტეხეს და ჰიტლერელები აიძულეს უკან დაეხიათ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 15 გვამი.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა მოსპეს 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მტრის აეროდრომზე საბჭოთა ბომბდამშენი ავიაციის თავდასხმის დროს მოსპობილია გერმანელთა 15 თვითმფრინავი. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა არტილერისტებმა მტრის პოზიციებს დაუშინეს და დაანგრიეს 16 ძელშიწური საცეცხლე წერტი, 9 მიწური და 3 სამეთვალყურეო პუნქტი. საბჭოთა სნაიპერებმა ორი დღის განმავლობაში 150 ჰიტლერელი გასწყვიტეს. ერთ უბანზე გერმანელ მეავტომატეთა დიდი ჯგუფი დღის განმავლობაში რამდენჯერმე შეეცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. იმ ქვედანაყოფთა მებრძოლებმა, რომელთა მეთაურებიც არიან ლეიტენანტი ვასილკოვი და უმცროსი ლეიტენანტი პეტროუნინი, მტრის იერიშები მოიგერიეს და სულ ცოტა 50 ჰიტლერელი მოსპეს. სხვა უბანზე მზვერავებმა უმცროს ლეიტენანტ კოკანცევის მეთაურობით მტრის სანგრებში შეაღწიეს და ხელჩართულ შეტაკებაში 20 გერმანელი გასწყვიტეს. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს ტყვეები და დოკუმენტები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

საბჭოთა პარტიზანები მძლავრ დარტყმებს აგებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. ისინი ლიანდაგიდან აგდებენ მტრის ეშელონებს ჯარებიანად და ტექნიკიანად, აფეთქებენ ხიდებს, ანგრევენ კავშირგაბმულობას, ანადგურებენ მტრის გარნიზონებს და სპობენ მის ცოცხალ ძალას. გერმანიის სარდლობამ აღაერთგზის სცადა ჩაეხშო პარტიზანული მოძრაობა. ჰიტლერელებს პარტიზანთა წინააღმდეგ გამოჰყავდათ დიდი შენაერთები ტანკებიანად, არტილერიანად, ცეცხლსატყორცნებიანად და თვითმფრინავებიანად. მაგრამ ყამსჯელთა ყველა ლაშქრობა პარტიზანების წინააღმდეგ ზედიზედ იფუშებოდა.

პარტიზანებთან ბრძოლაში მთელი რიგი წარუმატებლობისა და დამარცხების შემდეგ გერმანელებმა თავიანთ საყვარელ იარაღს — ბრბოთა ჯავრის მიმართეს. ამას წინათ ჰიტლერელებმა ფურცელი შეთითხნეს და უკრაინისა და ბელორუსიის ზოგიერთ რაიონში დაპაჯარეს, ამ ფურცელში ვითომ საბჭოთა სამხედრო ხელისუფლების სახელით პარტიზანებს წინადადება ეძლეოდათ შესწყვეტონ სათითოოდ და მცირე რაზმებად მოქმედება, გაერთიანდნენ დიდ რაზმებად და ელოდონ ბრძანებას ფაშისტელ არმიის რეგულარულ ნაწილებთან ერთად გამოსვლის შესახებ. ეს ბრძანება, ნათქვამია ჰიტლერულ ნაყალბევში, გაიცემა მაშინ, „როდესაც ეს მოსავალი ბელღლებში იქნება შენახული, ხოლო მდინარეები და ტბები კვლავ ყინულით დაიფარება".

ამ პროვოკაციის მიზანი ცხადია. გერმანელები ცდილობენ გაზაფხულ-ზაფხულს გადამწყვეტი ბრძოლების წინ შეაჩერონ პარტიზანთა მოქმედება ჰიტლერელებს სურთ, რომ პარტიზანებმა შესწყვეტონ ბრძოლა და მოლოდინის პოზიცია დაიკავონ.

მაგრამ საბჭოთა პარტიზანებს შორის არ აღმოჩნდნენ გულუბრყვილონი, რომელნიც დაიჯერებდნენ გერმანელ ყალბისმქმნელთა ამ პროვოკაციას. პარტიზანები მალე მიხვდნენ, თუ ვინ არიან ნაყალბევის ავტორები. საბჭოთა პატრიოტებმა გერმანელი დამპყრობლების მიერ დროებით ოკუპირებულ რაიონებში საკადრისი პასუხი გასცეს ჰიტლერელებს. უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა რაიონების პარტიზანები კიდევ უფრო მეტი ენერგიით განაგრძობენ ჰიტლერელთა არმიის ზურგის განადგურებას. საბჭოთა პარტიზანი ქალები და კაცები ჰიტლერელთა პროვოკაციის საპასუხოდ კიდევ უფრო აქტიურად დაანგრევენ რკინიგზებს, აფეთქებენ ხიდებს, გასწყვეტენ კავშირგაბმულობას და ულმობლად გაჟლეტენ გერმანელ არამზადებს.

ᲓᲔᲙᲐᲛᲔᲠᲝᲜᲘ

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲜᲘᲡᲨᲘ

ლონდონი, 28 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარები კვლავ წინ მიიწევენ ყველა ფრონტზე.

ინგლისელთა პირველი არმიის უბანზე ჯუშინ მთელ დღეს გაფთრებული ბრძოლები იყო მეჯეზ-ელ-ბაბის სექტორში. გერმანელებმა არაერთხელ მძიმეანეი კონტრიერიშები.

პონ-დიუ-ფასის რაიონში მოქმედმა ფრანგთა ნაწილებმა სამი დღის განმავლობაში 24 კილომეტრით წაიწიეს წინ ძნელდასავალ რაიონებში.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა გაფთრებულ თავდასხმებს მტრის სამხედრო ობიექტებსა, სატრანსპორტო კოლონებსა და ჯარებზე ტუნისში და კუნძულ სარდინიაზე.

სანაპირო დაცვის მსუბუქმა გემებმა ორი უკანასკნელი ღამის განმავლობაში ბიზერტს ნავსადგურსა და ტუნისის ყურეში ჩაასიერეს გერმანელთა 2 ტანკერი და ერთი პატარა სატვეირო გემი.

რეიტერის სააგენტოს ცნობით. ინგლისის ჯარებმა, რომლებიც გაფთრებულ ბრძოლებს ეწევიან მეჯეზ-ელ-ბაბის აღმოსავლეთით, ახალი საფრთხე შეუქმნეს მოწინააღმდეგის ძირითადს თავდაცვითს პოზიციებს. ჯავშანსატანკო ნაწილებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ პონ-დიუ-ფასი-ტუნისის ტუნისს მიმავალ მნიშვნელოვან გზაზე, ხოლო ფრანგთა ჯარებმა დაიკავეს მაღლობი 4-5 მილზე თვით პონ-დიუ-ფასიდან.

ცენტრალურ სექტორში ინგლისის ქვეითმა ჯარმა ტანკების დახმარებით წინ წაიწია სებკრეტ-ჯაბერის ტბისაკენ და ახლა 6 მილზე იმყოფება პონ-დიუ-ფას-ტუნისის მთავარი გზის დასავლეთით.

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲘᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ლონდონი, 28 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 27 აპრილს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავები ნაღმავდნენ მტრის წყლებს.

მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენებმა გუშინ ახალი თავდასხმა მოახდინეს ბარის აეროდრომზე სამხრეთ იტალიაში. აღნიშნულია რამდენიმე დიდი ხანძარი.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 26 აპრილს ღამით დუისბურგზე ინგლისის ავიაციის თავდასხმისაა ქალაქს წუთში 30-ზე მეტი ტონა ბომბი ეყრებოდა. სულ ამ თავდასხმის დროს ქალაქს თითქმის იმდენივე ბომბი დააყარეს, რამდენიც შარშან მაისში კელნს დააყარეს, როდესაც მას ათასი თვითმფრინავი ბომბავდა.

ᲥᲘᲜᲫᲘᲠᲘᲡ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲘ ᲦᲐᲥᲘᲦᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲨᲣᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

სტამბოლი, 28 აპრილი (საკდესი). ამ დღეებში რუმინულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბუქარესტის სამხედრო კომენდანტის ბრძანება, რომელიც მკაფიოდ მოწმობს იმ შეშფოთებას, რაც რუმინეთის მპყრობელ ხროვაში არის გამეფებული რუმინეთში ომის საწინააღმდეგო განწყობილებათა და გერმანელებისა და მათი რუმინელი ლაქიებისადმი სიძულვილის ზრდასთან დაკავშირებით.

ბრძანების მთელი რიგი პუნქტები მიმართულია იმისაკენ, რომ ჩაახშონ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია და აიძულონ მოსახლეობა შესწყვიტოს ყოველგვარი პოლიტიკური საკითხის განხილვა. ბრძანების მეორე პარაგრაფში ყველა რესტორანის, კაფეს და სხვა დაწესებულების პატრონს წინადადება ეძლევა „დუყოვნებლივ აცნობოს ხელისუფალთ იმ პირთა შესახებ, რომლებიც მტრულ აზრებს გამოსთქვამენ და პრაპაგანდას ეწევიან". მეე-12 და მე-13 პარაგრაფებში ნათქვამია: „აკრძალულია, რა ფორმითაც უნდა იყოს, ამ საკითხების განხილვა, რომლებიც ეხებიან არმიას, საომარ ოპერაციებს, საერთაშორისო და შინაგან პოლიტიკურ მდგომარეობას, აგრეთვე აკრძალულია როგორც ყალბი, ისე სწორი ინფორმაციის გავრცელება

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲕᲘᲪᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲙᲔᲑᲐ

სტოკჰოლმი, 29 აპრილი (საკდესი). ჰიტლერული გაზეთი „ანგლინშე ცაიტუნგი" იძულებულია აღიაროს, რომ გერმანელი ახალგაზრდობის კულტურული დონე მკვეთრად დაეცა „ახალგაზრდელი თაობა.—სწერს გაზეთი, —არ ამდიდრებს თავის შეგნებას ძველი თაობის გამოცდილებითა და ტრადიციებით. ამის შედეგია ახალგაზრდობის გონებრივი ჭორაფლობის შეზღუდვა. სულიერი გამოფიტვა, გაღატაკება ენისა. რომელიც განისაზღვრება მცირეოდენი ტრაფარეტული ფრაზებით".

გერმანული სამხედრო ჟურნალი „მილიტერ ვოხენბლატი" ჩივის გერმანელი ახალგაზრდა ოფიცრების დაბალ კულტურულ დონეს. „პირდაპირ გიჟურს,—სწერს ჟურნალი,—რომ იუწკრებს, რომელთაც სიმწიფის ატესტატი მიუღიათ, ლოგიკური აზროვნება არ ეხერხებათ. მათს უმრავლესობას თავში ისეთი ბუროუსი აქვს, რომ თუ რამეს სწერენ, არც კი უფიქრდებიან და ბოლოს ეურჩყოფენ ამას, რასაც დასაწყისშე ამტკიცებდნენ. ყურადღებას იქცევს,—აცხადებს შემდეგ ჟურნალი, — ეკანასკნელ გამოშვებათა ახალგაზრდა ოფიცრების მიდრეკილება უშინაარსო ფყვარალა ფრაზებისადმი. მათ შეუძლიათ ძალიან ბევრი სწერონ ქალაქზე ისე. რომ არც ერთი თუნდაც ოდნავ შინაარსიანი აზრი არ გამოსთქვან".

გაზეთი „ჰამბურგერ ტაგებლატი" აგრეთვე აღიარებს გერმანელი ახალგაზრდობის საშინელ უვიცობასა და გონებრივ გაღატაკებას. გაზეთი იუწყება, რომ ირთ გამოცდაზე გამოსაცდელად მოსულთა ნახევარმა ვერ შესძლო მართებულად დაეწერა ტდიდესი გერმანელი პოეტის გოეთეს გვარი.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲕᲐᲤᲐᲠᲝᲗ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ
ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲞᲘᲠᲗᲜᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲭᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

მახარაძე („კომუნისტის" საკ. კორ.). მახარაძის რაიონმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ხუგდიდის, ლანჩხუთისა და სამტრედიის რაიონებთან, ერთობლივნი კულტურების თესვის გეგმა დაწესებულ ვადაზე 7 დღით ადრე—28 აპრილისათვის შეასრულა. დათესილია 4.706 ჰექტარი. თესვა გრძელდება. თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდში 120 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები ითესება.

თესვაში წარმატებით იმუშავეს სოფ. ბატანინების, შრომის, კელეთი, ქიკეთა-ბახვის, ვაკიჯვრის, ზვანის, გუჩარიანთის, შუა დვაბზუს კოლმეურნეობებმა.

მახარაძის მტს-მა საგაზაფხულო ხვნის გეგმა 131 პროცენტით შეასრულა. მტს-მა 25 აპრილისათვის მთლიანად შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲐᲦᲒᲐᲕᲚᲝᲑᲐ

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა მესამე ბრიგადის ტრაქტორისტმა დათა ლეკიშვილი, რომელმაც „სტზ" ტრაქტორით ხვნის გეგმა 158 პროცენტით შეასრულა. გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ აგრეთვე ტრაქტორისტები ლადო შაქარაშვილი, ნიკო ბაბისაქლაშვილი და სხვ. მტს-ის მთელი კოლექტივი ენერგიულად ებრძვის იმისათვის, რომ საგაზაფხულო მიწვნენელებით შეხვდეს პირველი ნიადაგის დღესასწაულს.

გურჯაანის მტს-ის დირექტორი
დავითაშვილი

პოლიტგანყოფილების უფროსი
გურაბანიძე

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲠᲒᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

გულრიპში („კომუნისტის" საკ. კორ.). ქობულეთელ კოლმეურნეთა მოწოდების საპასუხოდ აფხაზეთის ასსრ გულრიპშის რაიონის კოლმეურნეობებმა 1943 წელს უხვი სამხედრო მოავლის მოღებისათვის თავდადებულ გაშალეს მუშაობა და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს სოხუმის რაიონი. ბაკისრ ვალდებულებათა შესრულება წარმატებით მიმდინარეობს. რაიონის წამყვანი კულტურაა—თამბაქოს სათბურებსა და ღია ველზე ვლეტნი. თესვა რაიონმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა. აგროლონისძიებათა ზუსტად გატარებით, მინერალური და ორგანული სასუქების რაციონალურად გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნა თამბაქოს მაღალხარისხოვანი ჩითილის მიღება.

მთელ რაიონში თამბაქოს საუკეთესო ჩითილი მოიყვანა ბაბუშერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კ. ბერიშვილი), სადაც სანერგე მეურნეობას ხელმძღვანელობს გამოცდილი მეთამბაქეე სტახანოველი ამბ. ბ. მელქიანი. იგი მერვე წელია, რაც სანერგე მეურნეობას გაუძღვა. ყოველწლიურად გეგმაზე მეტი ჩითილი მოჰყავს. მაგალითად, 1942 წელს ამ კოლმეურნეობიდან მეზობლებმა კოლმეურნეობებმა ნახევარ მილიონამდე ნერგი მიიღეს.

თამბაქოს საუკეთესო ჩითილი მიიღეს აგრეთვე ბაქრაძის სახელობის (ბაბუშერი), ლენინის სახელობის (სოფ. გულრიპში) და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. წლის თამბაქოსათვის შერჩეული იქნა საუკეთესო მიწები. თამბაქოს დასარგავად გეგმით გაფალსწინებული 2.921 ჰექტარი ფართობი ვადამდე და ხარისხიანად იქნა მოხნული. ყველა მოსამზადებელი სამუშაოთა წარმატებით დამთავრების შემდეგ, 20 აპრილს რაიონმა დაიწყო თამბაქოს მასობრივად რგვა. ბაბუშერის ბერიას სახელობის, ამავე სოფლის ბაქრაძის სახელობის, სოფ. გულრიპშის ლენინის სახელობის, ამავე სოფლის ორგჯერიძის სახელობის კოლმეურნეობებმა თამბაქოს რგვის დღიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. გაისაკუთრებით თავი ისახელა კომუნისტი ეფანოლის ძეა ჯაღალონიას რგოლმა. (ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა), რომელმაც თამბაქოს რგვის დღიური ნორმა 250 პროცენტით შეასრულა.

დადგა თამბაქოს მასობრივი რგვის პერიოდი, საჭიროა კიდევ უფრო გაკვამტაციოთ შრომის დისციპლინა კოლმეურნეობებში, მაქსიმალურად გავაძლიეროთ რგვის ტემპები და 1943 წელს, ქვეყნის მოგვეთ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი თამბაქოს ნედლეული.

შ. ძაძამია

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ Დ ᲛᲝᲡᲮᲚᲔᲜᲘᲔᲑᲘ

30 აპრილს, ხალამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკომიტეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **ფრაშენბერგის** ლექცია „რუსულ ენაზე. თემა: **„ხალამაული ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".**

ბილეთების, მიღება შეიძლება საქალაქო პარტკომიტეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან ხალამოს 10 საათამდე.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ხახოპერა — 30 აპრილს — „პატარა ქალი", 1 მაისს—დღისით — „ალი", ხალამოს—„ტოსკა", 2 მაისს—„ეგზენი ონეგინი", **რუსთაველის სახელობის** — 30 აპრილს—„ხალატრავლო ალი ბაბი", 1 მაისს—დღისით და ხალამოს — „ოლეკო დუნდარი", 2 მაისს—„ხამშობლო". **მარჯანიშვილის სახელობის** — 30 აპრილს—„ეკვეთ ავალმყოფი", 1 მაისს—დღისით—„ურიელ აკოსტა", ხალამოს — „პარტიზანები", 2 მაისს—„ეკვეთ ავალმყოფი". **მუსიკალური კომედიის** — 30 აპრილს—„არშინმალ-ალან", 1 მაისს—დღისით და ხალამოს—ერთმოქმედებიანი პიესების ხალამო, 2 მაისს—„ციხეური კლდეები". **ხანკულტურის**—1 მაისს — „გაგრძელება იქნება", 2 მაისს—„სტუმარმასპინძლობა". **მოზარდ მაყურებელთა ქარხნული თეატრი**—30 აპრილს—„რომეო და ჯულიეტა", 1 მაისს—დღისით და ხალამოს—„ვალია სოკოლოვა", 2 მაისს—„ვალია სოკოლოვა".

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ხაქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება სთხოვს ამხ. მიხეილ მელიტონის-ძე **გორგაძეს** ათი დღის ვადაში გამოცხადდეს ამხ. **გეგეშიძესთან.**

ხაქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2841157, გაცემული გიორგი ყავდანის-ძე **თიბილაშვილის** სახელზე, პარტბილეთი № 1538332, გაცემული სტეფანე ნოეს-ძე **გაგლოევის** სახელზე, და პარტბილეთი № 1519227, გაცემული ფილიმონ გიორგის-ძე **გიგიტაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩათვალოს გაუქმებულად.

ხაქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 4338647, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის მიერ დავით ძეს ტულის-ძე **ალანიას** სახელზე, დაკარგულია და ჩათვალოს გაუქმებულად.

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

დღეს რუსთაველის სახ.—„რაიკომის ზეიმი", ოქტომბერი — „სტალინგრადი", **დინამო**—„ალექსანდრე პარხომენკო", **კომკავშირელი**—„ჩვენ კრონშტადტიდან ვართ", სპარტაკი — „გაბანადგურებლები", **ლენინგრადი**—„ბუგის სახ.—„დაპატიმრებულნი", 26 კომ. სახ.—„რაიკომის მდივანი", **კომინტერნი**—„ეაბუკი ჩვენი ქალაქიდან".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

Ხ. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲙᲘ

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ 1 ᲓᲐ 2 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ

ᲡᲐᲛᲐᲘᲡᲝ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ

სასულე ორკესტრი, საპარკო ატრაქციონები, საზაფხულო კინოთეატრი, ჯაზ-ორკესტრი, ევროპული ცეკვა, ბილიარდი. სამკითხველო.

სეირნობის დასაწყისი დღის 12 საათიდან.

ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

ᲛᲐᲚᲔ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ახალი ᲑᲛᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ

„ᲙᲝᲖᲝᲕᲡᲙᲘ"

რეჟისორი Ა. ᲤᲐᲘᲜᲪᲘᲛᲔᲠᲘ

მთავარ როლებში: სტალინური პრემიის ლაურეატები ნ. მორდვინოვი, ნ. კრიუჩკოვი, ვ. მარეცკაია, რესპ. დამს. არტისტი ვ. ვასინი, მ. ახტანგოვი.

საქ. „გლავკინოპროკატის" კანტორის გამოშვება.

ᲪᲝᲚᲝ ᲗᲐᲛᲐᲠ შვილებით, დედა ივდითი იუწყებიან, რომ 2/V, 6 ს. კუკის სასაფლაოზე დანიშნულია **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲗᲝᲛᲐᲠᲘᲫᲘᲡ-ᲫᲔ ᲨᲣᲨᲐᲫᲘᲡ** სამოქალაქო პანაშვიდი. 996

ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲛᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲐ იუწყებიან პატარა კოკა ᲮᲘᲛᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲗᲐᲥᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/V, 7 ს. ᲔᲠᲔᲡᲘᲡ, 51. დაკრძ. 2/V 5 ს. 1004

დედა მარიამ, დები კატო, ნინო, დისწულები ზაირა და ზაური იუწყებიან **ᲛᲘᲖᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲐᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/V, საზოგადოების, 2, დაკრძ. 2/V, 4 ს.

თამარ, მარო, ვერა, ლუბა, ნინო იუწყებიან, რომ 1 ს. ვერის სასაფ. დანიშნულია დედის **ᲡᲝᲤᲘᲝ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲐᲫᲘᲡ-ᲑᲔᲣᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** და ძმის **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲔᲣᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** სამოქალაქო პანაშვიდი. 979

მეუღლე მარიამ შვილებით, დედა სონა იუწყებიან, რომ 2/V, 6 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია **ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲡᲫᲔᲘᲡ-ᲫᲔ ᲮᲝᲯᲐᲔᲕᲘᲡ** სამოქალაქო პანაშვიდი. 997

ᲪᲮᲐᲯᲐᲘᲡ ᲡᲐᲡ.-ᲡᲐᲛ. ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ იუწყება **ᲕᲐᲠᲚᲐᲛ